N 03/569
21/07/2023

569-03-2-202307211314

განმცხადებელ ნია ტიგინაშვილს (პ/ნ 01019071972)

მის.: საქართველო, ქ.თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 41ბ

მობ.:557604101

ქალბატონო ნია,

სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) მიმდინარე წლის 18 ივლისს შემოსული თქვენი განცხადების N2366/03 პასუხად, რაც ეხება ღვინის დამზადების ტექნოლოგიისა და საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების შესახებ ინფორმაციას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ღვინის წარმოების ზოგადი წესი, ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის N524 დადგენილებით. საქართველოს მევენახეობის ზონებისა და მევენახეობის ქვეზონების საზღვრების, ნებადართული ვაზის ჯიშების, აგრეთვე ამ ზონებისა და ქვეზონების მიხედვით რეკომენდირებული ვაზის ჯიშების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის N2-1010 ბრძანებით.

თქვენ მიერ წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხება მევენახეობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციას.

დანართი: *საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის N524 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის N2-1010 ბრძანება.*

პატივისცემით,

ლევან მეხუზლა

თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა